www.ricofx.ge-ს სავალუტო ოპერაციებით მომსახურების წესები და პირობები

წინამდებარე დოკუმენტის (შემდგომში "წესები") მიზანია, დეტალურად აღიწეროს და განისაზღვროს სავალდებულო წესები და პირობები, მხარეთა უფლება-მოვალეობები კლიენტსა და შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "რიკო ექსპრესს" (შემდგომში "მისო") შორის მხოლოდ ვალუტების კონვერტაციის პლატფორმაზე www.ricofx.ge (შემდგომში "პლატფორმა") სავალუტო გარიგებათა შესრულების დროს.

გარდა წესებისა, კლიენტსა და მისოს შორის ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონებითა და რეგულაციებით.

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, წესები არ არეგულირებს იმ ურთიერთობებს, მათ შორის დაკავშირებულს ვალუტის კონვერტაციებთან, რაც კლიენტსა და მისოს შორის ხორციელდება სხვა სივრცეში, მისოს ფილიალებსა და სხვა პლატფორმებზე.

ტერმინთა განმარტება

კლიენტი - ფიზიკურ პირი, საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი ან ინდივიდუალურ მეწარმე, რომელიც პლატფორმის გამოყენებით ახორციელებს ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციას;

სავალუტო გარიგება/კონვერტაცია - ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაცია;

ვალუტის ყიდვა – უცხოური ვალუტის შესყიდვა ლარით;

ვალუტის გაყიდვა – უცხოური ვალუტის გაყიდვა ლარზე;

საკომისიო – ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციაზე დაწესებული გადასახდელი;

მუხლი 1

1.1 კლიენტი აცნობიერებს, რომ მას გააჩნია უფლებამოსილება, კონვერტაციის პლატფორმაზე www.ricofx.ge მოახდინოს ვალუტის კონვერტაცია;

1.2 წინამდებარე წესების დათანხმებით კლიენტი ადასტურებს, რომ საკუთარი ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე მას სურს პლატფორმის გამოყენებით მოახდინოს კონვერტაცია იმ პირობებით, რაც მისოს მიერ დადგენილია ამავე პლატფორმაზე;

1.3 მისო ვალდებულია, მოახდინოს კონვერტაციაზე კლიენტის მოთხოვნის დაკმაყოფილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული მოთხოვნა მისოს წარდეგინება წინამდებარე წესებით დადგენილი პირობებით;

მუხლი 2

კონვერტაციის განხორციელებამდე კლიენტი ვალდებულია დაეთანხმოს წესებს, დარეგისტრირდეს პლატფორმაზე და გაიაროს ავტორიზაცია;

მუხლი 3

3.1 ავტორიზაციის შემდგომ კლიენტი გადავა მთავარ ინტერფეისზე, სადაც გამოუჩნდება მისოს კონვერტაციის კურსები, მისოს ანგარიშები სხვადასხვა ბანკში და კონვერტაციის კალკულატორი;

3.2 კლიენტმა უნდა აირჩიოს სასურველი ბანკის ანგარიში სასურველ ვალუტაში;

3.3 კლიენტმა უნდა აირჩიოს კალკულატორის შესაბამისი ვალუტის ველი და უნდა შეიყვანოს სასურველი თანხა;

3.4 კლიენტი უნდა დაეთანხმობს წესებს და პირობებს;

3.5 წინამდებარე წესების 3.2, 3.3 და 3.4 მუხლებით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულების შემდეგ კლიენტმა უნდა დააჭიროს ღილაკზე "კონვერტაცია" და ამ დროს მისო მიიღებს კლიენტის მოთხოვნას ვალუტის გადაცვლის შესახებ.

3.6 "კონვერტაციის" ღილაკზე დაჭერიდან არაუგვიანეს სამი წუთისა, კლიენტმა საკუთარი ინტერნეტ ან მობაილ ბანკინგიდან უნდა მოახდინოს თანხის გადარიცხვა მისოს ანგარიშზე ზუსტად იგივე ვალუტაში, იგივე ოდენობით და იგივე ანგარიშზე, რაც მის მიერ დაფიქსირებულ იქნა წესების 3.2-3.4 მუხლებში აღწერილი მოქმედებების შესრულებისას. ამასთანავე, კლიენტმა მისოსთვის თანხის გადარიცხვა უნდა მოახდინოს ზუსტად იმავე ბანკიდან, რომელი ბანკის ანგარიშიც აირჩია წესების 3.2 მუხლის შესაბამისად;

3.7 კლიენტმა გადარიცხვისას სავალდებულოდ უნდა მიუთითოს შემდეგი დანიშნულება: "ვალუტის კონვერტაცია";

3.8 კონვერტაცია განხორციელდება იმ გაცვლითი კურსით, რომელიც დაფიქსირებულ იქნება პლატფორმაზე კლიენტის მიერ კონვერტაციის ღილაკისთვის დაჭერის მომენტში;

3.9 მისო ვალდებულია კლიენტს კონვერტირებული თანხა გადასცეს კლიენტის მიერ მისოსთვის თანხის გადარიცხვიდან არაუგვიანეს 15 წუთისა;

3.10 იმ შემთხვევაში, თუკი კლიენტის მიერ ზედმიწევნით ზუსტად არ შესრულდება წესების 3.2-3.7 მუხლებით გათვალისწინებული პროცედურები, ასევე თუ კლიენტის მოქმედებაში გამოვლენილ იქნება ნებისმიერი სხვა სახის შეუსაბამობა, მისო არ მოახდენს ვალუტის გადაცვლას და კლიენტს დაუბრუნდება თანხა იგივე ოდენობით, იგივე ვალუტაში და იგივე საბანკო ანგარიშის ნომერზე, საიდანაც მოახდინა გადმორიცხვა. ხოლო იმ შემთხვევაში თუ კლიენტის მიერ გადმორიცხული თანხა არ არის ზუსტად იმავე ბანკიდან შესრულებული, მომხმარებლის თანხას ჩამოაკლდება გადარიცხვის საკომისიო და ისე დაუბრუნდება იმავე ანგარიშზე, რომლიდანაც განახორციელა თანხის ჩარიცხვა;

მუხლი 4

4.1 კონვერტაციის განხორციელება შესაძლებელია ყოველი კვირის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს 10:00 საათიდან 17:40 საათამდე დროს პერიოდში;

4.2 კლიენტი ადასტურებს, რომ დეტალურად გაეცნო კონვერტაციის პირობებს, რაც მისთვის მისაღებია და ეთანხმება წინამდებარე წესებსა და პირობებს;

4.3 მისო ვალდებულია მომსახურება გაუწიოს კლიენტს მას შემდეგ, რაც კლიენტი განახორციელებს ტრანზაქციას კომპანიის მიმართ და კონვერტაციის მიზნით.

4.4 კლიენტი ვალდებულია ტრანზაქცია განახორციელოს მულტისავალუტო ანგარიშიდან, რათა მისომ შეუფერხებლად შეძლოს მომსახურების გაწევა და კუთვნილი ვალდებულებების შესულება;

4.5 მისოს მიერ მომსახურება გაწეულ იქნება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე;

4.6 კონვერტაციის დროს მისოს მიერ ვალუტის ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება მხოლოდ წინასწარ დადგენილი კურსით და მისო არ იყენებს რაიმე დამატებით საკომისიოს;

4.7 წარმატებით დასრულებული სავალუტო გარიგების გაუქმება დაუშვებელია;

4.8 კლიენტი ვალდებულია სავალუტო გარიგების დადების და შესრულებისას არ გამოიყენოს ან/ და მისოს არ მიაწოდოს ყალბი, არასწორი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია. კლიენტი აუნაზღაურებს მისოს ზარალს და ყველა დანახარჯს, რაც მისოს მიადგება კლიენტის მიერ ამ ვალდებულების დარღვევის შედეგად;

4.9 მისო უფლებამოსილია, უარი თქვას კონვერტაციის შესახებ კლიენტის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუკი ეს მოთხოვნა წარდგენილია წინამდებარე წესებით დადგენილი პირობების დარღვევით ან ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. ამისთვის მისოს რაიმე ჯარიმა ან/და სანქცია არ დაეკისრება;

4.10 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან კონფიდენციალობა.